41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ბაღდათელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ბაღდათის მერობის კანდიდატისა და ბაღდათის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ბაღდათის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბაღდათი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ბაღდათის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი: თუ 2013 წლის მონაცემებით ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სულ გადასახდელები 5,7 მლნ ლარს შეადგენდა, 2021 წელს ამ მაჩვენებელმა საპროგნოზოდ 7,3 მლნ ლარი შეადგინა.

- **ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.**

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (1 048 493 ლარი, თანამონაწილეობა 419 397 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 111 ჰექტარზე განხორციელდა 53 პროექტი (ჯამურად 1 715 424 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 103 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 357 829 ლარი), რითაც 410-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 6 კოოპერატივი (73 მეპაიე, კაპიტალი 448 600 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 61-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 5 995 830 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 164 973 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით,** განხორციელდა 7 პროექტი (ჯამურად 354 495 ლარი, თანადაფინანსება 141 798 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა** და შესყიდულია 85 930 ლარის ტექნიკა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 42 965 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (3 პროექტი ჯამურად 629 812 ლარი, თანადაფინანსება 503 850 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (7 პროექტი 191 631 ლარი, თანადაფინანსება 95 816 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 3 952 454 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 0-დან (2013 წელს) 1060 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 162 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 6 540 ჰექტარი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2 075 ჰექტრამდე ზრდა.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ბაღდათის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 1 943 813 ლარი, დასაქმებულია 83 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 638 946 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 829 586 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 73 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 36, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 37 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.** „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდარესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

**იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:**

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 2 846 აბონენტი. 2013-2017 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 771 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** ბაღდათში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობის და **ტურისტული სერვისის გაუმჯობესების მიზნით,** რეგიონში ბოლო წლების მანძილზე ჩატარდა 25-მდე სხვადასხვა ტრენინგი, ჯამში გადამ-




ქ. ბაღდათი, კოსტავას ქუჩა

ზადდა 900-მდე ტურიზმის სფეროში დასაქმებული/დასაქმების სურვილის მქონე ადამიანი. **პროექტით „ღვინის გზა“** განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

**ბაღდათის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:** ზეკარის ხეობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა, ასევე ახალი ტურისტული ზონის შექმნა მდინარე ხანისწყლის ნაპირზე.

2020 წელს მოეწყო **აჯამეთის აღკვეთილის ბილიკი,** რომლის ღირებულებამ 290 000 ლარი შეადგინა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** 2013-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 31 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4 315 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება,

ამ ეტაპზე, აჯამეთის აღკვეთილში, 56 ჰექტარზე მიმდინარეობს **იმერული მუხის აღდგენის** პროექტი.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2024 წლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ბაღდათში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 25 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 5,231 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ბაღდათის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 348 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ბაღდათში, **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 1 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა.

## ბაღდათი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს





ბიზნესგანვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრი

**2021-2022 წლებისთვის, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- სოფ. წითელხევის შემოვლითი გზის რკ/ბ საფარის მოწყობა – 1 314 486.12 ლ;
- ქ. ბაღდათი, აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია – 815 066.39 ლ;
- სოფ. ზედა დიმი, კვირიკაძეების გზის რეაბილიტაცია – 483 649 ლ;
- სოფ.დიმი, „ატეკის“ საუბნო გზის რკ/ბ საფარის მოწყობა – 801 680 ლ;
- სოფ. ფერსათი, ღვინის მარნიდან „თავხელიძეების ბოგირამდე„ ს/გზის რეაბილიტაცია – 276 978 ლ;
- სოფ. დიმი, დ.ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის ს/გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა – 449 500 ლ;
- ქ. ბაღდათი, ბაგრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია – 86 232 ლ;
- სოფ. წითელხევი, მდ. კორისწყალზე ჩანგრეული ხიდის (№1) აღდგენა – 416 562 ლ;
- ქ. ბაღდათი, მერაბ კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია – 133 000 ლ;
- ქ. ბაღდათი, თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია – 301 692 ლ;
- ქ. ბაღდათი, ფოცხვერაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია – 322 000 ლარი;
- ქ. ბაღდათი, აღმაშენებლის ქუჩის I შესახვევის რებილიტაცია – 99 000 ლ;
- ქ. ბაღდათი, 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია – 283 563 ლ;
- სოფ. დიმი, თავხელიძეებისა და მინაძეების საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები – 118 600 ლ;
- სოფ. დიდველა, ე.წ. ზივზივაძე-შველიძეების გზის რეაბილიტაცია – 393 277 ლ;
- სოფ. ფერსათი, ე.წ. თავხელიძეების ბოგირიდან №1 საჯარო სკოლისკენ მიმავალი ს/გზის რეაბილიტაცია – 272 733 ლარი;
- სოფ. ფერსათი, ე.წ. ბუიძე-კვირიკაშვილების ს/გზის რეაბილიტაცია – 575 000 ლ;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს-განვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები – 910 085 ლ;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხანისწყალზე არსებული 6 სოფლის დამაკავშირებელი ს/ხიდისა და მასთან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის სამშენებლო სამუშაოები – 1 941 605 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები – 19 045 534 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 15 200 000 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 8 330 799 ლ;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას ს/გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 38 888 888 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კახა ენუქიძე: „ბაღდათში კიდევ ბევრ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ!“

**უკვე 4 წელია ბაღდათის მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილი შეაქვს, მერის პირველი მოადგილის რანგში. ამბობს, რომ ამ პერიოდში, გუნდთან ერთად არაერთი საამაყო პროექტი განახორციელა. მომდევნო 4 წელიწადშიც საინტერესო გეგმები აქვს მშობლიურ ბაღდათთან დაკავშირებით.**

**წლების განმავლობაში დაზვერვის სამსახურში მუშაობდა, ბედი კერძო სექტორშიც სცადა. პოლიტიკური აქტივობის სურვილი კი მანამდე არასდროს გასჩენია, ვიდრე „ქართული ოცნება“ არ გამოჩნდა. ამ გაერთიანების ღირებულებები თანხვედრაში მოვიდა მის პრინციპებთან, ისიც დაინახა, რომ მმართველი პარტია ქვეყნის განვითარებაზე იყო ორიენტირებული და პროცესში ჩართვაც სწორედ მაშინ გადაწყვიტა.**

**დღეს ბაღდათის მერობის კანდიდატია. ამბობს, რომ გაკეთებული საქმეები „სავიზიტო ბარათია“ არჩევნებში გამარჯვებისთვის. თუმცა, კახა ენუქიძეს, სხვა ბევრი დივიდენდიც აქვს – ოჯახი, მშობლები, განვლილი ცხოვრება და ბაღდათლებთან უშუალო, თბილი ურთიერთობები:**



დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს, თბილისში.

1993-1997 წლებში სწავლობდა ბაღდათის №1 საშუალო სკოლაში, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული აკადემიის ბიზნესის ფაკულტეტზე, მენეჯერის სპეციალობით.

1998-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის მთავარ სამმართველოში, უფროსი მზვერავის პოზიციაზე; 2002-2009 წლებში იყო შპს „შვიდის“ მენეჯერი, ხოლო 2009-2012 წლებში – კომპანია „იოლის“ შესყიდვების დირექტორი.

2012-2017 წლებში გახლდათ შპს „კაპ-გრუპის“ დირექტორი. 2017 წლის თებერვალში დაინიშნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსად, ხოლო ამავე წლის დეკემბრიდან იკავებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობას.

ფლობს ფრანგულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

– ბაღდათში გავიზარდე. მამა, ელგიზ ენუქიძე, წლების განმავლობაში აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის უფროსი იყო; დედა, ია გუმბერიძე კი, მედიცინის მუშაკი გახლავთ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ბებიაქალად მუშაობდა, ამჟამად დიასახლისია. სამწუხაროდ, მამა გარდაცვლილია. მისი გარდაცვალება ჩვენთვის დიდი დარტყმა იყო. ჩემს აღზრდაში ორივე აქტიურად იყო ჩართული, მაგრამ მამა უმეტესად სამსახურით იყო დაკავებული და დრო ნაკლები რჩებოდა ჩვენთვის. იგი მუნიციპალიტეტში ძალიან უყვარდათ, დღესაც ახსოვთ და ყველა დიდი სითბოთი მოიხსენიებს. უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო. სულ მესაუბრებოდა ტყესთან მოპყრობის წესებზე, მასწავლიდა, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას. ნაკრძალშიც ხშირად დავყავდი. მახსოვს, ერთხელ მხეცისგან დაჭრილი შვლის ნუკრი ვიპოვეთ, შინ წამოვიყვანეთ, დედამ უმკურნალა, გადავარჩინეთ და შემდეგ ისევ ტყეში გავუშვით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რთული ვითარება იყო, არაჩვეულებრივი, ლაღი ბავშვობა მქონდა. ჩვენს სახლთან ახლოს სტადიონი და მდინარე ხანისწყალი იყო – თითქმის მთელი ბავშვობა ფეხბურთის თამაშსა და ცურვაში გავატარე. მაშინ ეს იყო ჩვენი გასართობი. დღეს ფეხბურთს ვეღარ ვთამაშობ, მაგრამ ვარჯიშისთვის ვიცლი ხოლმე. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ, „ბაიერნი“ ჩემი ფავორიტი გუნდია. სკოლაში დიდი და მეგობრული კლასი მყავდა. კლასელებთან, დღემდე მაქვს ურთიერთობა და ჩვენ შორის დიდი სიყვარულია.

**– ექიმის შვილს, სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებაზე არ გიფიქრიათ?**

– ექიმობა არასდროს მინდოდა. მამის გავლენით, სატყეო-საინჟინროზე ვაპირებდი ჩაბარებას, თუმცა ბოლოს გადავიფიქრე. მაშინ სიახლე იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბანკო-საფინანსო საქმე და მეც გავხდი საფინანსო საქმის მენეჯერი. სტუდენტობამ ე.წ. ბნელ 1990-იანებში მომიწია. გაჭირვების, უშუქობის, უგაზობის წლები იყო, მაგრამ სტუდენტობა მაინც საინტერესო პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოვიხადე და შემდეგ, მუშაობა დაზვერვის მთავარ სამმართველოში დავიწყე. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის მთავარ სამმართველოში უფროსი მზვერავი ვიყავი. ეს საიდუმლო, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სამსახურია. სამსახურმა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაზეც იმოქმედა. კარგი უნარები შევიძინე – წესრიგი, საქმისადმი დამოკიდებულება, პუნქტუალობა, პედანტობა. ეს ყველაფერი ცხოვრებაში ძალიან წამადგა. მიხარია, რომ შსს-ს ეს სტრუქტურა ამჟამად უმაღლეს დონეზეა. დღემდე მაქვს ურთიერთობა თანამშრომლებთან, ვიცი, როგორ უანგაროდ, თავგამოდებით მუშაობენ და ქვეყნის იმიჯისა თუ უსაფრთხოებისთვის ყველაფერს აკეთებენ.

**– გარკვეული პერიოდი ბაღდათის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის პოზიციაც გეკავათ. რა შეიცვალა თქვენ დროს ამ სამსახურში?**

– მივაღწიეთ იმას, რომ გაწვევას მაღალ დონეზე ვასრულებდით. ახალგაზრდები სამხედრო სამსახურზე უარს აღარ ამბობდნენ. სამწუხაროდ, დღეს, რიგ ოპოზიციურ პარტიებს ჯარში გაწვევის თავიდან არიდების მიზნით, არასახარბიელო ინიციატივები გაუჩნდათ, რამაც გაწვევის ინტენსივობაზე იმოქმედა და ქვეყნის სამსახურში ყოფნის მუხტი გარკვეულწილად ჩაკლა. ვფიქრობ, რაღაც დოზით, პატრიოტულ გრძნობებსაც კი შეეხო. მსგავსი ინიციატივები, ჩემთვის ქვეყნის ღალატის ტოლფასია, მითუმეტეს, რომ დღევანდელი და ათეული წლის წინანდელი ჯარი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. დღეს ჯარში არაჩვეულებრივი პირობები, ჯანსაღი საკვები, ხარისხიანი ტანსაცმელი, კარგად შერწყმული თეორიული და პრაქტიკული სწავლებაა, ამიტომ ახალგაზრდებს ჯარზე უარის თქმის მიზეზი არ აქვთ. ამის უფლებას მათ სამშობლო და იმ ბიჭების ხსოვნა არ აძლევთ, ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში თავი გაწირა. როცა ბაღდათის სამხედრო აღრიცხვის უფროსი ვიყავი, გაწვევის ხარისხი მაღალი იყო და შესაბამისად, ვფიქრობ, ამ პოზიციაზე ჩემი ყოფნა ნაყოფიერად შეიძლება ჩაითვალოს.

**– ძალები კერძო სექტორშიც მოგისინჯავთ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის მო-**



**ვალეობას ასრულებთ. არის თუ არა სახელმწიფო სამსახური თქვენთვის უფრო მიმზიდველი?**

– დიახ, გარკვეული პერიოდი კერძო სექტორშიც ვიყავი. ვიმუშავე ისეთ კომპანიებში, როგორიცაა შპს „7“, „იოლი“, კომპანია „კაპ-გრუპში“ კი დირექტორი გახლდით. დაზვერვის სამსახურიდან იმდენი სიკეთე და ისეთი უნარ-ჩვევები გამომყვა, მუშაობა არსად გამჭირვებია, თუმცა, შემდეგ ისევ სახელმწიფოში სამსახურში ყოფნა გადავწყვიტე. 2017 წლიდან მერის პირველი მოადგილე ვარ.

**– არჩევანი „ქართულ ოცნებაზე“ რატომ შეაჩერეთ და ამ გუნდის წევრი რატომ გახდით?**

– იმიტომ რომ „ქართული ოცნება“ სამართლიანი და დემოკრატიული გუნდია, რომლისთვისაც მთავარი ღირებულება ადამიანი და მისი უფლებებია. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რის გამოც თავის დროზე „ქართული ოცნების“ გვერდით დავდექი და დღემდე ამ გუნდის წევრი ვარ. მანამდე კი, არც ერთი ხელისუფლების დროს, პოლიტიკური აქტივობის სურვილი არ გამჩენია.

**– მერიაში თქვენი ყოფნის დროს, რა შეიცვალა ბაღდათის სასიკეთოდ?**

– როცა მერის პირველ მოადგილედ დავინიშნე, მიზნად დავისახეთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ვგულისხმობ ცენტრალური თუ საუბნო გზების მოწესრიგებას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს და ა.შ. ბევრი ისეთი პროექტი დავგეგმეთ და მოვიყვანეთ სისრულეში, რომელიც მართლაც ძალიან მეამაყება. იყო სოფლები, სადაც გზა არასდროს ყოფილა მოპირკეთებული და ეს ჩვენ შევძელით, 6 სოფელთან დამაკავშირებელი ხიდი გავაკეთეთ. იმერულად რომ ვთქვათ, 9 მთავრობა გამოიცვალა და ამ სოფლების გასაჭირი არავის გახსენებია, 30 წელია ხიდები ავარიულ მდგომარეობაშია და ჩვენი გუნდის დამსახურებაა, რომ ეს პროექტი დასრულდა. სხვათა შორის, ამ ხიდს ჩემი ბავშვობა უკავშირდება და მისი აღდგენა ჩემთვის ღირსების საკითხიც იყო. ჯამში, მუნიციპალიტეტში დაახლოებით 70 კმ-მდე გზა გავაკეთეთ. ასეთი მასშტაბური სამუშაოები არცერთი მთავრობის დროს არ ჩატარებულა. თითქმის გაორმაგებული ბიუჯეტის ხარჯზე (5 მილიონ ლარამდე იყო და ახლა 9 მილიონ ლარამდეა) ასევე გვაქვს არაერთი სოციალური პროგრამა. ეს ყველაფერი ჩვენი სწორი ფინანსური პოლიტიკის დამსახურებაა. ამ ბიუჯეტით, იმის საშუალებაც მოგვეცა, რომ პანდემიის დროს, ფორსმაჟორულ პირობებში, ადამიანებს გვერდით დავდგომოდით. ამავე პერიოდში, „ქართული ოცნების“ ბაღდათის ახალგაზრდულმა ფრთამ ფონდიც ჩამოაყალიბა და ყველა ერთად მაქსიმალურად ვეცადეთ, ჩვენი თანამოქალაქეები განსაცდელში არ მიგვეტოვებინა

**– ბაღდათის ერთ-ერთი გამოწვევა უმუშევრობა იყო. მუნიციპალიტეტში დასაქმების კუთხით რა სიახლეებია?**

– უმუშევრობა გარკვეულწილად კვლავ გამოწვევად რჩება, თუმცა ადგილობრივებს დასაქმების პერსპექტივა გაუჩნდათ. გაიხსნა საწარმოები, გაშენდა მოცვის კულტურა, გაკეთდა სასათბურე მეურნეობა, ასევე განვითარდა ტურიზმიც, მოეწყო საოჯახო ტიპის სასტუმროები. გამომდინარე იქიდან, რომ ბაღდათში ვაზის რამდენიმე უნიკალური ჯიში გვაქვს, განვითარდა მეღვინეობა – გაჩნდა ახალი საოჯახო მარნები, სადაც საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოს აწარმოებენ. ყველა ზემოჩამოთვლილ ობიექტზე ადგილობრივები არიან დასაქმებულნი. ამ ყველაფერს კი ხელი შეუწყო სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ, რადგან, ცხადია, გამართული ინფრასტრუქტურის გარეშე ბიზნესი და ტურიზმი ვერ განვითარდება.

**– საინტერესოა, ამჯერად, რა მოლოდინი აქვს ბაღდათის მოსახლეობას ახალი მერისგან და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეთან დაკავშირებით?**

– რადგან 4 წლის წინ დასახულ მიზანს უკვე მივაღწიეთ და ყველა სოფელში ცენტრალური გზა გავაკეთეთ, ამიერიდან შეგვიძლია გადავიდეთ შიდასაუბნო გზების მოწესრიგებაზე. ჯერჯერობით ბუნებრივი აირის გარეშეა დარჩენილი მაღალმთიანი სტატუსის მქონე, საკრაულასა და ხანის ხეობის სოფლები. უკვე გაცხადებულია, რომ გაზიფიცირებას მაღალი ზონის სოფლებშიც დავიწყებთ. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტის სასმელი წყლით მომარაგება ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან უკვე გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემების (როგორც სასმელი, ისე წყალარინებისა და სანიაღვრე წყლის) მოწესრიგებას გულისხმობს. სხვათა შორის, მუნიციპალიტეტში აღმოჩენილია უნიკალური წყარო, რომლის წყლის დონე წლის განმავლობაში არ იკლებს და სასმელადაც უნიკალურია. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში, ბაღდათში, წყლის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება. ძალიან სასიხარულოა, რომ რეგიონების ურბანული განვითარება დაწყებულია. აუცილებლად უნდა განხორციელდეს ისეთი პროექტებიც, რომლებიც სასარგებლო იქნება ქალაქის იერსახის შესაცვლელად. მნიშვნელოვანია რეკრეაციული ზონის, დასასვენებელი ადგილების მოწყობა. ვფიქრობ, გაკეთებული საქმეები ჩემი სავიზიტო ბარათია და ამაში 2 ოქტომბერს დარწმუნდებით. მომდევნო 4 წელიწადშიც, ჩემს გუნდთან ერთად, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებ.

**– როგორ ფიქრობთ, ბაღდათის მოსახლეობა ამის შანსს ისევ მოგცემთ?**

– დარწმუნებული ვარ, ბაღდათის მოსახლეობა მხარს დამიჭერს. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ბაღდათის განვითარებაში ყველანი ერთად მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ!



## კახა ენუქიძის ბედნიერი ოჯახი

პირად ცხოვრებაზე საუბარი დიდად არ უყვარს. როცა ვკითხე, მეუღლე სად გაიცანით და როგორ მოხიბლეთ-მეთქი, მოკლედ და კონკრეტულად მიპასუხა, ბანკში. ლიკამ სწრაფად დაიპყრო ჩემი გული, არც მე გამიჭირდა – ალბათ, ურიგო ბიჭი არ ვიყავიო.

მეუღლე – ლიკა ჯორბენაძე, „საქართველოს ბანკის“ თანამშრომელია. წყვილს ერთი შვილი ჰყავს – ელენე 14 წლისაა და პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლობს, რამდენიმე უცხო ენა იცის, ინგლისურად კარგად საუბრობს, იაპონურ ენასაც ეუფლება და „ფლექსის“ პროგრამაში მონაწილეობაზე ოცნებობს. ნიჭიერია – მამას ჰგავსო, ხუმრობს კანდიდატი. ელენე პატარა ასაკიდან კარგად ცურავს, ცეკვავს და დიზაინის ნიჭიც აქვს, ამზადებს სამკაულებსა და ლამაზ აქსესუარებს. მამას კი უხარია, რომ ელენე არც ქედმაღალია და არც ზედმეტად ამაყი.

თავისუფალ დროს უმეტესად ოჯახურ გარემოში ატარებს: სეირნობენ, დადიან კინოში, თეატრში, ხვდებიან და სტუმრობენ მეგობრებს. ოჯახის წევრებმა როცა გაიგეს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერობას აპირებდა, მხარი დაუჭირეს. დედამ ცოტა ინერვიულა – ეს დიდი პასუხისმგებლობაა, როგორც უნდა მოინდომო, ყველა მადლიერი ვერ გეყოლებაო, თუმცა, როგორც კი გაიაზრა ბოლო 4 წელიწადში ბაღდათში განხორციელებული პროექტები და მომდევნო 4 წელში დაგეგმილილი უამრავი სასიკეთო საქმე – გადაწყვეტილება მოუწონა. ვინ, თუ არა დედამ, ყველაზე კარგად იცის, რომ მისი შვილი, კახა ენუქიძე ძალ-ღონეს არ დაიშურებს ბაღდათისა და თითოეული ბაღდათელის ინტერესებისა და უკეთესი მომავლისთვის.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ბაღდათის მუნიციპალიტეტზე, გამოიყო 30 726 988 ლარი, დაფინანსდა 65210 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 399 249,9 ლარით 107 485 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3819848 ლარით 42997 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (გამოიყო 18 619 433 ლარით 13236 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (4343021 ლარით 4091 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 039 635 ლარით 1748 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 103 706 ლარით 1 895 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 2 676 ბენეფიციარი (153 080 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2019 წელს, **ბაღდათის მუნიციპალიტეტში**, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 100% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ბაღდათში,** სტაციონარული მკურნალობით 75-მა (313 814 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1035-მა პაციენტმა (1 12 428 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 2875 ორსული (155 533 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 654.




2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 551 პირი (107 897 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ბაღდათის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ბაღდათში,** 2013-2021 წლებში, სულ 352 შემთხვევა 621 992 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ბაღდათის მუნიციპალიტეტს 33 სოფლის ექიმი ემსახურება.**

**2014-2020 წლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ქ. ბაღდათი, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ოფისის მშენებლობა (158 520 ლარი); **საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაცია/მოწყობა სოფლებში:** ხანი (25 645 ლ), ვარციხე (43 539 ლ), როხი (34 116 ლ), ნერგეეთი (68 220 ლ), მეორე ობჩა (27 698 ლ); სოფელ საკრაულას ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიის მოწყობა (71 220 ლ). **დაგეგმილია ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია სოფლებში:** წითელხევი, ფერსათი, ზეგანი, დიმი, პირველი ობჩა, ზედა დიმი.

2013 წელთან შედარებით, **2,6-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 91,7 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 34,8 ათასი ლ).

**2018-2021 წლებში, ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების** ბიუჯეტი დაახლოებით, 45%-ით – 127 600-დან 184 000 ლარამდე გაიზარდა. 1000 ლარამდე გაიზარდა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ზედა ზღვარი. მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება სოციალურად დაუცველ და ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახის წევრებზე სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობის, საოპერაციო და თანხების ნაწილობრივი უზრუნვეყოფა, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირება და აბილიტაცია, ქიმიოთერაპიითა და რადიოაქტიური იოდით მკურნალობის დაფინანსება, შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა, მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები 5494 პირია (01.04.2021 წ.). 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 7 029 865-დან 15 018 073 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2019 წლებში, სულ 96 511 045 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ბაღდათში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 117 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,4-ჯერ – 154 531-დან 530 666 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 3 925 067 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ბაღდათის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 672 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2021 წელს, საარსებო შემწეობებზე გაწეულმა ხარჯმა 1413 ათასი ლარი შეადგინა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 16 137 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 5249 ათასი, შშმ პირებზე – 2278 ათასი, ბავშვებზე – 4542 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ბაღდათში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1529 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 512 010-დან 2 675 272 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 17 787 572 ლარი.



**ბაღდათის მუნიციპალიტეტში 269 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 102 178-დან 149 580 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 1 261 768 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, აქედან ბაღდათში დაკმაყოფილდა 12 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 7 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 5 ოჯახს დაუკანონდა. **ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ბაღდათში,** დაფინანსებულია 100 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 114 650 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 158 800 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ბაღდათის მუნიციპალიტეტზე – 1 425 835 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ბაღდათში ჩართული იყო 626 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 684. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა – 116-მა პირმა, 2021 წელს (ივლისის მონაცემებით) – 123-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – ბაღდათში, პროგრამაში 2020 წელს, ჩაერთო 385 პირი, 2021 წ. – 397 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით,** დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 513,4 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 293,6 ათასი ლ).

**2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, 2012 წლიდან დღემდე, ბაღდათში,** სოციალურ სფეროში განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა 8-დან 20-მდე გაიზარდა. მათ შორის, ხორციელდება – შშმ პირთა დახმარების პროგრამა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება, უფასო სასადილოს დაფინანსება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სტიქიით დაზარალებულთა დახმარება, ვეტერანთა დახმარება, 18 წლამდე ასაკის ობოლბავშვიანი ოჯახების დახმარება, უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია,** მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი.**

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორმებიული



სოფელ დიმის საბავშვო ბაღი

სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მიიღებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მხარდაჭერილნი არიან, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ბაღდათში ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, (2 – ქ. ბაღდათში, 14 – სოფლად).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაღდათში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 198,9 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 272,9 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 198,9 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში განხორციელდა საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები,** მათ შორის, 2017 წლებში ახალი საბავშვო ბაღები აშენდა და გაიხსნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში – ხანში (193 ათასი ლარი), პირველ ობჩაში (240 ათასი ლარი), მეორე ობჩაში (200 ათასი ლარი), ფერსათსა (206,9 ათასი ლარი) და დიმში (ეწერი – 240 ათასი ლარი), რაზეც სულ 1 მლნ 79,8 ათასი ლარი დაიხარჯა; სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საბავშვო ბაღს, მოეწყო გათბობის სისტემები, შეძენილია ინვენტარი. **2020 წელს დასრულდა,** ორ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ დიმში, რაზეც 562 ათასი ლარი დაიხარჯა. უზრუნველყოფილ იქნა ამ ახალი საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ტრანსპორტირება. **მუნიციპალიტეტში განხორციელებული საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.**

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, **აღსაზრდელთა რაოდენობა** 600-დან 753-მდე გაიზარდა. 20-დან 41,59 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. საბავშვო ბაღებს 90 **აღმზრდელი** და **აღმზრდელ-პედაგოგი** ემსახურება, რომელთა **ხელფასი,** 2021 წელს, 2012 წელთან შედარებით, 180-დან 420 ლარამდე გაიზარდა. ყველა საბავშვო ბაღს ემსახურება ექიმი, ბაღდათის №2 საბავშვო ბაგა-ბაღს კი ექიმი და ექთანი. სკოლამდელ დაწესებულებებში დანერგილია **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, რომლის 6 ჯგუფშიც 209 აღსაზრდელი და 12 აღმზრდელია.

## ზოგადი განათლება

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 საჯარო სკოლა (2 – ქალაქში, 19 სოფლად, მათ შორის 1 – მთაში).** 2021 წლის მაისის მდგომარეობით, სკოლებში 2496 (58 – მთაში) მოსწავლე, 423 (15 – მთაში) მასწავლებელი და 16 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 58 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში.

**2013-2021 წლებში, საქართველოს**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა,** მათ შორის: 2019 წელს, **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშემწყობი პროგრამით,** ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლას 37 კომპიუტერი გადაეცა; **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** 9 საჯარო სკოლის (22 მიმართულება) 370 მოსწავლე სარგებლობს (2019-2020 ს/წ I სემესტ.); **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით**, 2013-2018 წლებში, სკოლებში 39 პროექტი დაფინანსდა, ფინანსურად 68 აქტივობა წახალისდა. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, 781 სასკოლო **ჟურნალი** და 64025 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაიცათ. 2013-2019 წლებში, **პირველკლასელებს** საჩუქრად 1559 კომპიუტერი გადაეცათ, 116 – **კლასის დამრიგებლებს,** ხოლო 113 – **წარჩინებულ მოსწავლეებს.** 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** აღჭურვის 25, **რადიოტექნოლოგიითა** და **გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 19 პროექტი განხორციელდა, **ლოკალური უსადენო ქსელით** 3 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2013-2019 წლებში, სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური** ბაზით, ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 65 პროექტი განხორციელდა. 2019-2021 წლებში, **„ახალი სკოლის“** მოდელიმუნიციპალიტეტის 10 საჯარო სკოლაში დაინერგა. ქ. ბაღდათის №2 სკოლას 37 ლეპტოპი გადაეცა. 2021 წლისთვის **ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში** ბაღდათის 11 საჯარო სკოლაა ჩართული. **სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით,** 2013-2021 წლებში, **ნაწილობრივი რეაბილიტაცია** ჩაუტარდა 36 საჯარო სკოლას. ადაპტირებულია 14. **ცენტრალური გათბობა მოწყობილია** 14 სკოლაში.

**2018 წლის ივნისიდან 2019 წლის აგვისტომდე,** „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ (MCC) ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციაზე 1 მლნ 670,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს – ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 8 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 325,5 ათასი ლარით დაფინანსდა. **განათლების სამინისტროს დაფინანსებით დასრულდა:** სოფ. წყალთაშუას სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა; ქ. ბაღდათის №2 სკოლის წყალმომარაგების სიმძლავრის გაზრდა, საკრაულას სკოლის სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება და ეზოს შეღობვა; **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდმა (რგპფ) დააფინანსა** 4 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ტიპის კეთილმოწყობისა და სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, ქ. ბაღდათისა და სოფლების (ფერსათი, როკითი, დიმი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, გათბობის სისტემების მოწყობა და სკოლებამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, **რეგიონული განვითარების ფონდიდან,** 378,7 ათასი ლარით დაფინანსდა.

**2020 წელს –** რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით, დასრულდა ფერსათის საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა (101, 7 ათასი ლარი), **ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით** განხორციელდა სოფ. დიმის №1, ნერგეეთის, წყალთაშუას, როხის, წითელხევის საჯარო სკოლებში გათბობის სისტემების მოწყობა და სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**საქართველოში შექმნილმა პანდემიურმა მდგომარეობამ დღის წესარიგში დააყენა საჯარო სკოლებში სველი წერტილების დაუყოვნებლივ მშენებლობა-რეაბილიტაციის საკითხი. 2020 წელს –** რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით, ბაღდათში, განხორციელდა სკოლებში სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის 12 პროექტი, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 749,6 ათასი ლარი დაიხარჯა. დასრულდა ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რაც „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ“ (MCC), ჯამში, 556,8 ათასი აშშ დოლარით დააფინანსა;

**2021 წელს – განათლების სამინისტროს დაფინანსებით დასრულდა:** სოფელ **საკრაულას** საჯარო სკოლაში შიდა სველი წერტილების მოწყობა, ხოლო **სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსებით** სოფ. წყალთაშუასა და ზეგანის №1 საჯარო სკოლებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

## პროფესიული განათლება

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯის, „იბერიის“ ბაღდათის ფილიალი,** რომელიც ახორციელებს 4 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას. კოლეჯში 2016 წლიდან მოწყობილია ინოვაციური ლაბორატორია. 2013-2020 წლებში, კოლეჯის მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფომ 16 მლნ 304, 7 ათასი ლარით დააფინანსა. 2014-2018 წლებში განხორციელდა კოლეჯის 4-სართულიანი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია. 2019-2020 წლებში კოლეჯის ბაღდათის ფილიალში პროფესიულ პროგრამებზე, ჯამში, 776 სტუდენტი ჩაირიცხა (მათ შორის 10 – სსსმ პირი), პროფესიულ პროგრამებში სულ 1480 სტუდენტი იყო ჩართული (19 სსსმ პირი).

**პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამით,** 2017-2019 წლებში, ბაღდათის საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 13 პროექტი განხორციელდა. 2017-2021 წლებში, კოლეჯში პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები 338-მა მსჯავრდებულმა/ყოფილმა პატიმარმა გაიარა. 2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 11 მლნ 654,3 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის მდგომარეობით, ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების 4 პროგრამას ახორციელებს შპს „საირმის ტურიზმის სკოლა“, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა – 12 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 12 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს – 12 სტუდენტი.


კოლეჯი „იბერია“

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო. ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- 2022 წლიდან საბავშვო ბაგა-ბაღებში აღმზრდელებთან ერთად იმუშავებენ აღმზრდელ-პედაგოგებიც, რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების ხარისხის ზრდას. 2025 წლისთვის დაგეგმილია აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა, გაიზრდება აღმზრდელ-პედაგოგთა ხელფასები;
- იგეგმება HACCP პროგრამის დანერგავა, რომელიც უზრუნველყოფს სურსათში არსებული რისკების მინიმიზაციას; 2025 წლისთვის დაგეგმილია თითოეულ აღსაზრდელზე კვების თანხის 46 ლარამდე გაზრდა;
- 2021-2024 წლებში საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების რეაბილიტაციაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 1 მლნ 500 ათასი ლარი დაიხარჯება; 2025 წლამდე მუნიციპალიტეტს სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაგა-ბაღები ექნება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ბაღდათში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები,** მათ შორის, 2022 წელს დაგეგმილია: სოფელ მეორე ობჩის საჯარო სკოლაში შენობის ფუნდამენტის გამაგრება/აღდგენ – 121,5 ათასი ლარი; სკოლის შენობის გარე კარების შეცვლა ქ. ბაღდათის №1 სკოლაში – 12,5 ათასი ლარი; მიმდინარეობს სველი წერტილების მოწყობა როხის (50,523 ათასი ლარი), დიმის (95,745 ათასი ლარი), ვარციხის (76,646 ათასი ლარი), პირველი ობჩის (67,048 ათასი ლარი) ხანის (57,922 ათასი ლარი) სკოლებში; 2022 წლისთვის დაგეგმილია გარე სპორტული მოედნის მოწყობა ვარციხის საჯარო სკოლაში;
- **2021-2022 წლებში დაგეგმილია:** სოფელ როხის საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია, ასევე, სველი წერტილისა და სკოლის შენობამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობა, სახურავისა და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;
- **2022 წელს დაგეგმილია:** ქ. ბაღდათში, №1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფელ წითელხევის სკოლაში; ქ. ბაღდათის №1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, გათბობის სისტემების დამონტაჟება დიმის, სოფელ წითელხევის სკოლებში, მეორე ობჩის სკოლის შენობის გამაგრებითი სამუშაოები, ნერგეეთის, დიმის №2 და სოფელ წითელხევის სკოლებში სველი წერტილებისა და შენობის სახურავის სრული რეაბილიტაცია.
- **პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით,** დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- **გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში **მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა,** რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი (ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა). ა(ა)იპ ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება (ვ. ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა, ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა (სოფელი წითელხევი).

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, კულტურის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 685 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 395,5 ლარით.

**2014-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.** იმართება სახალხო დღესასწაული „ბაღდათობა“, ტარდება შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, კონფერენციები, კონცერტები, თემატური ლექცია-სემინარები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის რემონტი (ფონდი „ქართუ“), სოფ. წითელხევის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია, ქ. ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის იატაკის რეაბილიტაცია, სოფელ წიფის ბიბლიოთეკის შენობის გადახურვის მასალების შეძენა, სოფელ პირველ ობჩაში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია, სოფელ მეორე ობჩაში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია.

**2016 წელს** დასრულდა ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის სახურავის რეაბილიტაცია და სადრენაჟე სისტემის მოწყობა, რაზეც 101, 7 ათასი ლარი დაიხარჯა;

**2018-2019 წლებში**, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, განხორციელდა ბერიეთის მე-9 საუკუნის ტაძრის სრული რეაბილიტაცია და მოწესრიგდა მონასტრის ინფრასტრუქტურა, რაზეც 120 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს** განხორციელდა რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია, რაზეც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 113 ათასი ლარი დაიხარჯა.

**მიმდინარეობს** ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ბერიეთში, რომელსაც საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი აფინანსებს.


რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი

ბაღდათის მუნიციპალიტეტს ფარავს **„ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი საქართველოში“,** რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

## სპორტი

**ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი.**

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სპორტის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 332 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 140,2 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია:** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ფეხბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, კრივი და კუნგ-ფუ. სპორტის ამ სახეობებს 2018 წლის მდგომარეობით სასპორტო სკოლაში 346 მოსწავლე ეუფლება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებში და საუკეთესო შედეგებს აღწევენ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნულ რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკში.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის:** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ვარციხის ფეხბურთის სტადიონს (18 ათასი ლარი); სოფ. დიმში, სკოლის უბანში, მოეწყო მინისტადიონი (42 ათასი ლარი).

**2015 წელს** ქ. ბაღდათში, კოსტავას ქ. №30-ში მდებარე ცენტრალურ სტადიონზე, აშენდა ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და მოეწყო გასახდელები, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 207,1 ათასი ლარი დაიხარჯა; სპორტული მოედნები მოეწყო სოფ. დიმსა (14,6 ათასი ლარი) და სოფ. წიფაში (4,5 ათასი ლარი); სოფ. წაბლარასხევში დაფინანსდა მინისტადიონის მოწყობა (5,4 ათასი ლარი); სოფ. დიმში განხორციელდა სტადიონის რეაბილიტაცია (5 ათასი ლარი), ხოლო სოფ. დიმში (სკოლის მიმდებარედ) მინისტადიონის შემოღობვა (4,0 ათასი ლარი); სოფ. ვარციხეში (ღვინის დასახლება) სტადიონისა და სკვერის შეღობვა (4,8 ათასი ლარი). **დასრულდა** ხელოვნურ და ასფალტისსაფრიანი სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაცია (28,8 ათასი ლარი).

**2018 წელს,** ქ. ბაღდათში, საფეხბურთო და საკალათბურთო მინიმოედნების რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 29,5 ათასი ლარი დაიხარჯა – საფეხბურთო მოედანზე მოეწყო ახალი ხელოვნური საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საკალათბურთო მოედნის ღობეს, მოეწყო ფარები.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული მიმართულებებით მომუშავე ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელეს:** „თქვენ ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხართ“, „არტისტების რეზიდენცია და საწარმო“, რომელთა მიზანია სპეციალური საჭიროების სტატუსის მქონე ბავშვების ინტეგრაცია, თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიის/ხელსაქმის შესწავლის გზით, თვითრეალიზაციისა და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, იმერეთის სოფელ ობჩაში ყოფილი ღვინის ქარხნის ტერიტორიის მიმდებარე სახლში ტექსტილის სახელოსნოსა და საერთაშორისო არტისტული რეზიდენციის მოწყობა, სადაც ადგილობრივ ახალგაზრდებს გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის, ხოლო უცხოელ ხელოვანებს გრძელვადიან არტისტულ პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდათ.

**ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები და აქციები. მათ შორის:** დედამიწის დღე, „დიდება გმირებს“ – კომპოზიცია, კონკურსი სწრაფ კითხვაში, ტრენინგი თემაზე: „მოტივაცია და აქტივობები“, თანამედროვე პოეტთა შემოქმედებითი საღამო, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ანა კალანდაძის შემოქმედების საღამო, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, საზაფხულო სკოლის პროექტი და სხვა. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო და წარმატებებსაც მიაღწია თეატრალურ ფესტივალებზე, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფების კონკურსებში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მეგობრობს პოლონეთის ქალაქ ლისომიცესთან. დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2017-2018 წლებში, ახალგაზრდული დელეგაცი-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ები დამეგობრებულ ქალაქებს სტუმრობდნენ და ბევრ საინტერესო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

**2020 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში**: დაფინანსდა 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (71,9 ათასი ლარი); გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე; დასაქმდა მინიმუმ 6 ახალგაზრდა; გრძელვადიანი სერვისი მიეწოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 200-ზე მეტ ახალგაზრდას. ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, ბაღდათის 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა, მათგან 1 – ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- **გაგრძელდება კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მათ შორის, დაგეგმილია:** სოფელ ხანის 12 მოციქულის სახელობის ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები – 350 ათასი ლარი (2019-2022 წ.წ.);
- **2021-2022 წლებში,** ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურული დარბაზის რეაბილიტაციასა და გათბობა-გაგრილების სისტემის მონტაჟზე 500 ათასი ლარი დაიხარჯება, 2023-2024 წლებში კი შენობაში სველი წერტილის მოწყობას, გარე სველი წერტილის რეაბილიტაციასა და ეზოს გამწვანება-რეაბილიტაციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 450 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მეორე სართულის რეაბილიტაციას 100 ათასი ლარი მოხმარდება;
- **გაგრძელდება სოფლის ბიბლიოთეკების აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:** 2021 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5 სოფლის (დიმი, ფერსათი, ობჩა, წითელხევი, ზეგანი) ბიბლიოთეკას, რისთვისაც 30 ათასი ლარი დაიხარჯება; 2022 წელს 4 სოფლის (ვარციხე, როხი, როკითი, დიდველა) ბიბლიოთეკის რეაბილიტაციას 25 ათასი ლარი მოხმარდება; 2023-2024 წლებში კი 4 სოფლის (ხანი, საკრაულა, ზედა დიმი, ნერგეეთი) ბიბლიოთეკას ჩაუტარდება რეაბილიტაცია, რაზეც, ჯამში, 30 ათასი ლარი დაიხარჯება;
- სოფელ ობჩაში გაიხსნება რევაზ ლაღიძის სახლ-მუზეუმი – 150 ათასი ლარი;
- ქ. ბაღდათში მოეწყობა ეთნოგრაფიული ცენტრი;
- **2022 წელს,** საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, დაგეგმილია სოფელ ფერსათში მდებარე სალხინოს ტაძრის საპროექტო, სარეაბილიტაციო და არქეოლოგიური სამუშაოები;
- **2022 წელს** სოფელ დიმში კულტურის სახლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 464,9 ათასი ლარი დაიხარჯება;
- **2022-2024 წლებში,** რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის ცენტრალური გათბობისა და კონდიცირების სისტემის მოწყობაზე, დიდი დარბაზის განათება-გახმოვანებასა და შიდა კოსმეტიკურ რემონტზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მლნ 500 ათასი ლარი დაიხარჯება;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- **განხორციელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, დაგეგმილია:** ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა ქ. ბაღდათში (კოსტავას ქ. №30) – 2 მლნ 600 ათასი ლარი, მშენებლობა 2022 წელს დაიწყება და 2023 წლის ბოლოს დასრულდება. კომპლექსი 200 ბენეფიციარზეა გათვლილი;
- **2022-2023 წლებში, დაგეგმილია** ქ. ბაღდათში სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია და შიდარემონტი – 500 ათასი ლარი; სოფელ დიმში, ყოფილი კულტურის სახლის სპორტულ დარბაზად რეკონსტრუქცია (მოემსახურება 60 ბენეფიციარს) – 465 ათასი ლარი; ქ. ბაღდათში სავარჯიშო დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია (150 ათასი ბენეფიციარ) – 90 ათასი ლარი;
- **2023 წელს** დაგეგმილია ქ. ბაღდათში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია – 300 ათასი ლარი და ახალი საფეხბურთო მინისტადიონის აშენება – 75 ათასი ლარი; სოფ. ვარციხის სტადიონის რეაბილიტაცია – 41 ათასი ლარი; რაგბის სტადიონის მშენებლობა სოფელ ფერსათში – 350 ათასი ლარი;
- **2022 წელს** დაგეგმილია გარესავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა: ქ. ბაღდათში – 15 ათასი ლარი (2022 წ.), სოფ. ფერსათში (15 ათასი ლარი), სოფ. როხსა (15 ათასი ლარი) და ობჩაში (15 ათასი ლარი);
- **2022 წლისათვის** დაგეგმილია ხელოვნურსაფრიანი მინიმოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ დიმში – 74 ათასი ლარი.
- **2022-2024 წლებში,** ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სპორტული მინიმოედნების მოწყობა/რეაბილიტაციაზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 1 მლნ ლარი დაიხარჯება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს. სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა საკმაოდ მშვიდი, სტაბილურია და არ დამძიმებულა: ამ წლებში რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 12 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 9, ანუ 75%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 3-6 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

## პრობაციონერთა სტატისტიკა

**2017-2020 წწ. ბაღდათის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.**

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა დასტაბიულურდა და, წინა წლებთან შედარებით აღარ იზრდება. იშვიათია პრობაციონერთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაული. საანგარიშგებო პერიოდში სულ 8 ასეთი შემთხვევაა რეგისტრირებული, რაც ასევე მეტყველებს მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობის სტაბლურობაზე.

სამომავლოდ მუნიციპალიტეტში პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებითა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, დაინერგება პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები, ასევე ხელი აქტიურად შეეწყობა პრობაციონერთა დასაქმებას მუნიციპალიტეტში.

## საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება; იმავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

**მუნიციპალიტეტში პირველი „საზოგადოებრივი ცენტრი“ ბაღდათში 2020 წლის 27 აგვისტოს გაიხსნა და წარმატებულად მუშაობს.**

ცხ. 1 ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 1<br>1 | 0<br>0 | 1<br>1 | 2<br>2 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 3<br>2 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>1 | 0<br>0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 1<br>0 | 1<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 6<br>5 | 0<br>0 | 3<br>2 | 3<br>2 |

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ბაღდათის მუნიციპალიტეტში

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 86 | 67 | 85 | 72 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 1 | 5 | 2 | 0 |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, ვიყო „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი იმ მუნიციპალიტეტში, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე.

ბოლო ოთხი წელია, მშობლიურ მუნიციპალიტეტს ვემსახურები და კარგად ვიცი მისი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. ვიცი, რა პრიორიტეტები უნდა დავისახო, რათა ბაღდათი კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისა და ინვესტორებისთვის.

აქაური, განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობით გამორჩეული, ლაღი, იუმორით აღსავსე, მშრომელი და პატრიოტი ხალხი ბევრად მეტს იმსახურებს. ჩვენს მხარეს აქვს უდიდესი პოტენციალი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებისთვის, იმისთვის, რომ მეტად გალამაზდეს აქაურობა და ადგილობრივებს გაუჩნდეთ მეტი შემოსავალი. ამის მიღწევა კი მხოლოდ ხელისუფლებისა და საზოგადოების ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობით, ერთად დგომით არის შესაძლებელი.

გარწმუნებთ, ჩვენი გუნდი ერთადერთი ღირსეული პოლიტიკური ძალაა, რომელიც მზად არის, ხალხის უშუალო ჩართულობით, ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო წარმატებული გახადოს.

გპირდებით, ყველა გამოწვევას ღირსეულად გავართმევთ თავს, წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას კი ბაღდათის კეთილდღეობაზე ზრუნვას მოვახმართ.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.